# შპს "იმუნიზაციის ცენტრის" ხარისხის პოლიტიკა

„იმუნიზაციის ცენტრის" **<u>მთავარი მისიაა:</u>**

დაარსების დღიდან იმუნიზაციის ცენტრის მისია არის იმუნიზაციის ხელმისაწვდომობის გაზრდა მოსახლეობის სხვადასხვა ასაკობრივი ფენისთვის, კერძოდ მოზრდილი მოსახლეობისთვის, რომელიც აღარ ეკუთვნის კალენდარული აცრებით გათვალისწინებული კონტიგენტის ასაკობრივ ჯგუფს, თუმცა საჭიროებს ვაქცინაციას. ამ კატეგორიას მიეკუთვნება სხვადასხვა ინფექციური დაავადებების მიმართ მგრძნობიარე პირთა რისკ-ჯგუფები: სამედიცინო პერსონალი, ხანდაზმული ასაკის მოსახლეობა, ქრონიკულად მოავადე პირები, მოგზაურები, სტუდენტები, უცხო ქვეყნის მოქალაქეები და სხვა.

იმუნიზაციის ცენტრი მოსახლეობას სთავაზობს მაღალხარისხიან მომსახურებას, გამოცდილი, ხარისხიანი და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ პრეკვალიფიცირებული ვაქცინების გამოყენებით.

იმუნიზაციის ცენტრს განსაკუთრებულ ადგილი უჭირავს ცოფის პრევენციის მიმართულებით, რასაც უზრუნველყოფს პაციენტების კომფორტზე ორიენტირებული 24 საათიანი მომსახურება და პროფესიონალი, გულისხმიერი პერსონალი.

**ჩვენი ხედვა ხარისხთან მიმართებაში არის შემდეგი:**

ევროპული სტანდარტების შესაბამისი ნორმების დანერგვა როგორც სამედიცინო, ასევე მართვის და ლოჯისტიკის მიმართულებით;

ეფექტურობის მუდმივი გაუმჯობესება და ხარისხის მართვის სისტემის მუდმივი განახლება მაკორექტირებელი და პრევენციული ღონისძიებების ეფექტურობის ამაღლების საფუძველზე;

ხარისხის უზრუნველყოფის სტრატეგიისა და მიზნების სწორი დაგეგმვა;

დაინტერესებულ მხარეებზე ორიენტირება, პროცესების სწორი შეფასება და რისკების შემცირება;

**ხარისხის მიზნები იმუნიზაციის სფეროში**

საკანონმდებლო მოთხოვნების ფარგლებში პაციენტთა მდგომარეობის მართვის ეროვნული გაიდლაინების/პროტოკოლების დანერგვით, სერვისების დივერსიფიკაციითა და გაუმჯობესებაზე ორიენტირებით პაციენტების კმაყოფილების მუდმივი ზრდა;

„იმუნიზაციის ცენტრის" საქმიანობის გაუმჯობესება, სამედიცინო ინფრასტრუქტურის მუდმივი განახლება;

იმუნიზაციის ცენტრის პერსონალის მუდმივი მომზადება-გადამზადების და სამედიცინო განათლების უწყვეტი მიწოდების სისტემის შექმნა. თანამშრომელთა მხრიდან ინოვაციების მუდმივი მოტივაცია;

ხარისხის მენეჯმენტის სისტემის მუდმივი გაუმჯობესება.